საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/32

ქ. ბათუმი 06 მარტი, 2020 წ.

,,ბსუ-ში ღონისძიების გამართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 25 აპრილის N01-08/24 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, საქართველოს კონსტიტუციის, ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ' საქართველოს კანონის, ,,საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ' საქართველოს ორგანული კანონის, ,,სექსუალური ორიენტაციის და საქმიანობის სფეროს ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის დადგენის შესახებ“ საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 27 იანვრის N13/797 რეკომენდაციის (საქართველოს სახალხო დამცველის გზავნილის ბსუ-ში შემოსვლის N102800), ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 13 თებერვლის N06-01/11 დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ,,ბსუ-ში ღონისძიების გამართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 25 აპრილის N01-08/24 ბრძანებაში, კერძოდ კი, ბრძანების N1 დანართში (წესი) შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4. ბსუ-ში გასამართი **ღონისძიებების კალენდარი** წარმოებს ელექტრონულად, ,,ღონისძიებების მართვის სისტემის“ (შემდეგში ,,სისტემა“) მეშვეობით, ვებგვერდზე envents@bsu.edu.ge (სისტემის ადმინისტრატორი - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატის უფროსი, მომხმარებელი - ბსუ-ს პერსონალი, ამ წესის მიხედვით, რედაქტირებაზე უფლებამოსილი პირი - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი).“;

ბ) მე-8 პუნქტის პირველი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,8. სტუდენტებისა და გარეშე პირთა მიერ ბსუ-ს ელექტრონული ფოსტის (info@bsu.edu.ge) მეშვეობით წარდგენილი ინიციატივა ბსუ-ს საზოგადოებასთან

ურთიერთობის სამსახურის მიერ წარიმართება ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით, ამ წესით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელების მიზნით.";

გ) მე-10-11 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,10. ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური უფლებამოსილია ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსების საჭიროებისას წარმოდგენილი ინიციატივის ტექსტი დააზუსტოს/გამართოს/რედაქტირება გაუკეთოს ან/და მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია/მასალა, როგორც ინიციატივის/განცხადების დამუშავების ეტაპზე, ასევე ღონისძიების გამართვაზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგაც (ამ მოთხოვნის ინიციატორის/განმცხადებლის მიერ შეუსრულებლობა შესაძლებელია გახდეს ღონისძიების გამართვაზე უარის თქმის საფუძველი).

11. ბსუ-ში ღონისძიების გამართვის თაობაზე წარდგენილი ინიციატივა/განცხადება 3-5 სამუშაო დღის ვადაში განიხილება ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინირებული მუშაობით და საბოლოოდ მიღებულ გადაწყვეტილებას (უფლებამოსილი პირის ვიზირებული დასაქმებულის სამსახურებრივი ბარათი), ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატის უფროსი ასახავს სისტემაში (მოინიშნება ველები ,,სტატუსი"/,,თანხმობა"). ამ ინფორმაციის შეტანა ითვლება ბსუ-ს პერსონალის ავტომატურ შეტყობინებად, ხოლო წერილობითი განცხადების სახით წარმოდგენილი ინიციატივის შემთხვევაში - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატის უფროსი ამზადებს განმცხადებლისათვის გასაგზავნ წერილობით კორესპონდენციას (თანხმობა/უარი ღონისძიებაზე გამართვაზე), გონივრულ ვადაში მისი ინფორმირებულობის მიზნით. წინამდებარე პუნქტის მიხედვით შესრულებული საქმიანობის პროცესში დაუშვებელია დასაქმებულის მიერ ისეთი სახის ქმედება, რომელიც იძლევა დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს, თანახმად ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ' საქართველოს კანონისა."

2. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს პერსონალს და ყველა სტრუქტურულ ერთეულს.
3. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**